საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/62

ქ. ბათუმი 16 ივნისი, 2023 წ.

„2023–2024 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის N06-01/07 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების, ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის ირაკლი კორძაიას (MES 5 23 0000656693, 07.06.2023), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თეონა ბერიძის (MES 2 23 0000620347 30.05.2023) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვლადიმერ ღლონტის (MES 1 23 0000674202, 12.06.2023) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „2023–2024 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის N06-01/07 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები და **დანართი N1** ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.
2. დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, დარგობრივ დეპარტამენტებს, დეკანის ოფისებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„2023–2024 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის N06-01/07 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 16 ივნისის №06-01/62 დადგენილების

დანართი 1.

№	საგანმანათლებლო პროგრამა	მისაღები რაოდენობა	პროგრამების აკრედიტაციის ვადა	სწავლის საფასური
1.	ბიოლოგია	10	31.12.2027	**2250**
2.	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება	5	01.07.2027	**2250**
3.	ეკოლოგია	6	01.07.2032	**2250**
4.	ქიმია	5	01.07.2027	**2250**
5.	ევროპული ფილოლოგია	20	13.02.2030	**2250**
6.	ლინგვისტიკა	6	31.03.2030	**2250**
7.	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები	5	31.03.2030	**2250**
8.	ფილოსოფია	5	31.12.2029	**2250**
9.	ისტორია	10	17.03.2030	**2250**
10.	ციფრული მედია და ინოვაციები	10	11.05.2026	**2250**
11.	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია	5	17.03.2030	**2250**
12.	ბიზნესის ადმინისტრირება	35	31.12.2024	**2250**
13.	ფინანსები და საბანკო საქმე	30	31.12.2024	**2250**
14.	ეკონომიკა	25	31.12.2028	**2250**
15.	სამართალი	40	01.07.2026	**2250**
16.	კლინიკური ფსიქოლოგია	15	31.12.2028	**2250**
17.	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	15	31.12.2026	**2250**
18.	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	5	31.12.2032	**2250**
19.	მათემატიკა	5	01.07.2027	**2250**
20.	ფიზიკა	5	01.07.2027	**2250**
21.	კომპიუტერული მეცნიერება	10	31.12.2032	**2250**
22.	განათლების ადმინისტრირება	15	31.12.2024	**2250**
23.	პროფესიული და უწყვეტი განათლება	15	01.07.2025	**2250**
24.	თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია	10	13.02.2030	**2250**
25.	თურქოლოგია	6	13.02.2030	**2250**
26.	ტურიზმის მენეჯმენტი	20	01.07.2030	**2250**